

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მედიცინის ფაკულტეტი

*რუსუდან ივანიშვილი*

**პაროდონტის ქსოვილებზე პირდაპირი ვინირების  
ზეპავლენის კლინიკურ-ბაქტერიოლოგიური  
თავისებურებები**

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

*ვლადიმერ მარგველაშვილი*

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის  
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

*მანანა კალანდიაძე*

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის  
დეპარტამენტი

თბილისი 2014 წელი



## სარჩევი

შესავალი .....	3
<b>თავი I.</b> ლიტერატურული მიმოხილვა .....	7
<b>თავი II.</b> მასალა და მეთოდები .....	27
<b>თავი III.</b> საკუთარი კვლევის შედეგები .....	36
3.1. საკუთარი მასალის დახასიათება .....	37
3.2. კბილის ესთეტიკური დეფექტების გავრცელების რისკ ფაქტორებისა და ვინირების საჭიროების შეფასება საქართველოს მოსახლეობაში .....	51
3.3. ვინირების გართულებების რისკის შეფასება .....	57
3.4. ვინირების გართულების პროგნოზირება .....	65
3.5. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მიკრობიოლოგიური სტატუსი ვინირებამდე და ვინირების შემდეგ .....	67
კლინიკური მაგალითები .....	95
<b>თავი IV.</b> განხილვა .....	99
დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები .....	110
გამოყენებული ლიტერატურა .....	114

## შესავალი

სტომატოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კბილების კოსმეტიკური საფარველის შერჩევას [4]. უკვე 20 წელზე მეტია, რაც ამ მიზნით გამოიყენება ფაიფურის და კომპოზიციური მასალებით ვინირება. მათი გამოყენება გამართლებულია როგორც ესთეტიკური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით [59, 176, 38, 34, 228].

ვინირება წარმოადგენს მინიმალურად აგრესიულ მკურნალობას [164]. მისი წარმატება დამოკიდებულია დიაგნოსტიკურ მიდგომებზე, კონტინგენტის სწორ შერჩევაზე, კბილის შესაბამის მომზადებასა და ადჰეზიური მიმაგრების პროცედურაზე [37], თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ვინირება შეიძლება გახდეს პირის ღრუს პათოლოგიური პროცესის მაპროვოცირებელი ფაქტორი. პირის ღრუს ადგილობრივ ფლორას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადამიანების ჯანმრთელობაში. იგი მონაწილეობს იმუნური სისტემის განვითარებაში და უზრუნველყოფს პათოგენური მიკროორგანიზმებით კოლონიზაციისადმი რეზისტენტობას [131, 53, 24].

ტექნიკური გართულებებიდან აღსანიშნავია ვინირის მორყევა და წანაცვლება, აცლა, დაბზარვა. ვინირის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია როგორც სტომატოლოგის კვალიფიკაციაზე, ისე პირის ღრუს საწყის მახასიათებლებზე [32].

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში ცნობილია ვინირების შემდგომი გართულებები [5, 6], დღემდე არ არსებობს გართულებათა მაპროვოცირებელ რისკ-ფაქტორთა ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც გამოავლენდა შედარებით უფრო აგრესიულ ფაქტორს მრავალრიცხოვან მიზეზთა ჩამონათვალში. გართულებების პრედიქტორების განსაზღვრა კი აუცილებელია ვინირების ეფექტურობის ასამაღლებლად და დაავადებათა პრევენციისათვის.

დღეისათვის სათანადოდ არ არის შესწავილი ვინირების გართულებათა კავშირი პირის ღრუს ინიციალურ მახასიათებლებთან, ვინირების გამოსავლის დამოკიდებულება ორგანიზმის ზოგად მდგომარეობასთან, კვების ტიპთან, სოციალურ, ბიოლოგიურ ფაქტორებთან და მავნე ჩვევებთან. მნიშვნელოვანია ვინირების ჩვენებათა და წინააღმდეგ ჩვენებათა განსაზღვრა. არ არის გამოკვლეული პირის ღრუს ღორწოვანი გარსის მიკრობიოლოგიური სტატუსი ვინირებადამდე და ვინირების შემდეგ.

ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა პირის ღრუს კლინიკურ-ბაქტერიოლოგიური თავისებურებების შესწავლის აქტუალობა ვინირების დროს.

## **მიზანი**

პაროდონტის ქსოვილებზე ვინირების ზეგავლენის კლინიკურ-ბაქტერიოლოგიური თავისებურებების შესწავლა.

## **ამოცანები**

1. კბილის ესთეტიკური დეფექტების სიხშირისა და ვინირების საჭიროების შეფასება გამოკვლეულ კონტინგენტში;
2. კბილის ესთეტიკური დეფექტების რისკ ფაქტორების შეფასება გამოკვლეულ კონტინგენტში. პაროდონტის მახასიათებლების (PMA ინდექსი, პაროდონტული ინდექსი, ჰიგიენური ინდექსი) შესწავლა ვინირებამდე და ვინირების შემდეგ;
3. გართულების რისკის ფაქტორების დადგენა და გართულების რისკის შეფასება ვინირების შემდეგ;
4. კორელაციების დადგენა ვინირების გართულების ფაქტორებსა და პირის ღრუს ინიციალურ მახასიათებლებს შორის;
5. პირის ღრუს ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი ვინირებამდე და ვინირების შემდეგ;
6. კორელაციების დადგენა ვინირების გართულების ფაქტორებსა და პირის ღრუს მიკრობიოლოგიურ მახასიათებლებს შორის.

## **სამეცნიერო სიახლე**

პირველად:

1. შესწავლილ იქნა ჰიგიენური, PMA და პაროდონტული ინდექსი ვინირებამდე და ვინირების შემდეგ;
2. შეფასდა რისკის ფაქტორები და გართულების რისკი ვინირების შემდეგ;
3. ჩატარებულ იქნა პირის ღრუს ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი ვინირებამდე და ვინირების შემდეგ;
4. შესწავლილ იქნა ვინირების გართულების რისკის ფაქტორები და დადგინდა გართულების ფარდობითი და ატრიბუტული რისკი თითოეული ფაქტორისათვის;
5. დადგენილ იქნა კორელაციები ვინირების გართულების ფაქტორებსა და პირის ღრუს ინიციალურ მახასიათებლებსა და პირის ღრუს მიკრობიოლოგიურ მახასიათებლებს შორის;

6. შედგა რისკ ფაქტორების ანკეტა კითხვარი.

#### ***პრაქტიკული ღირებულება***

დისერტაციის შედეგები ხელს შეუწყობს:

- ვინირების გამოყენების ოპტიმიზაციას;
- ვინირების ჩვენების განსაზღვრას პაროდონტის მახასიათებლების გათვალისწინებით;
- დაეხმარება პრაქტიკოს ექიმებს გართულების პრევენციასა და პროგნოზირებაში კონკრეტული კლინიკური შემთხვევის დროს.

კვლევის შედეგად შემუშავებულია გართულებათა რისკის შეფასების სისტემა; სამკურნალო-დიაგნოსტიკური ტაქტიკის ალგორითმი.

#### ***სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა***

ნაშრომში წარმოდგენილია: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, საკუთარი გამოკვლევის შედეგები, მიღებული შედეგების ანალიზი, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები. გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც მოიცავს 229 წყაროს. შედეგები ასახულია 21 დიაგრამასა და 18 ცხრილში, ნაშრომი ილუსტრირებულია 15 ფოტოთი.

**თავი I.**

**ლიტერატურის მიმოხილვა**

21-ე საუკუნის ესთეტიკური სტომატოლოგიის მიზანს წარმოადგენს როგორც ესთეტიკური, ისე მორფოლოგიური და ფუნქციური სრულყოფის მიღწევა [112, 161], რაც განსაზღვრავს ვინირების, როგორც თანამედროვე ესთეტიკური რესტავრაციის ძირითადი მიმართულების განვითარებას [35]. 1980-იანი წლების დასაწყისიდან ვინირება განიხილება მთლიანი გვირგვინის კონსერვატიულ ალტერნატივად [120]. იგი წარმოადგენს კბილის ვესტიბულარული ზედაპირის ადჰეზიურ მოპირკეთებას. ვინირება მთლიან გვირგვინთან შედარებით მოითხოვს კბილის ზედაპირული სტრუქტურის მინიმალურ მოცილებას, ოპტიმალური ფორმის, ფუნქციის და ესთეტიკის მიღწევით [103]. მრავალრიცხოვანი კვლევები ადასტურებს, რომ ვინირება უფრო მეტად აკმაყოფილებს ესთეტიკურ მოთხოვნებს, ხოლო სხვა პარამეტრებით უახლოვდება გვირგვინის პარამეტრებს [49, 53, 131, 157]. აღსანიშნავია, რომ ფუნქციურად ნორმალური გვირგვინები ხშირად 7-10 წლის შემდეგ შესაცვლელია გარეგნული შესახედაობის გამო [175].

განასხვავებენ ვინირების ორ მეთოდს – პირდაპირს (სარესტავრაციო ფოტოგამყარებადი მასალების გამოყენებით) და არაპირდაპირს (ფოტოკომპოზიტებით ან კერამიკით).

ყველაზე პერსპექტიულია სპეციალური ფოტოგამყარებადი კომპოზიტების გამოყენება (Denta-color, Targis System, Artglass, Arabesk Top, Admira, Herculite XPK) [227].

ვინირების ხარისხი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე – მათ შორის: კბილის ქსოვილთა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მდგომარეობაზე, ორგანიზმის სხვა პათოლოგიებზე (ფსიქომოციურ, შინაგანი ორგანოების და სისტემების დარღვევაზე), ვინირების თავისებურებებზე და გამოყენებულ მასალაზე.

ვინირებისას ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია მასალის შერჩევა. კბილის მასალებზე რეაქციის გამოკვლევამ აჩვენა, რომ კბილის დამუშავებისას პაციენტები ხვდებიან მრავალი ალერგენის მოქმედების ქვეშ, რომელთა სიმპტომები შეიძლება იყოს – წვა, ჩხვლეტა, ქეილიტი, ტუჩების და სახის შეშუპება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ამ დროს გამოყენებული მასალების ზემოქმედებით [63]. სტომატოლოგიური მასალის შერჩევა დღევანდელ სტომატოლოგიაში რთული და საპასუხისმგებლოა [208]. რთულია იმდენად, რამდენადაც სტომატოლოგიურ ბაზარზე წარმოდგენილია უამრავი მასალა, რომლებიც განსხვავდებიან ხარისხითა და ფასით. მათ სწორად შერჩევაზე დამოკიდებული წარმატებული მკურნალობა [211, 202]. მასალა უნდა



აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: უნდა მისცეს ექიმს მაღალესთეტიკური რესტავრაციის საშუალება, ხელს უნდა უშლიდს კბილის დემინერალიზაციას და კარიესულ პროცესებს [191].

ვინირებისას უპირატესობა ენიჭება კომპოზიციურ მასალებს, რამდენადაც ისინი ნაკლებად ზიანდება, კარგად პოლირდება, ფერის მიმართ ძალიან მდგრადია და ახასიათებს ფერთა დიდი გამა [184]. თუმცა სხვადასხვა კომპოზიციური მასალების შემთხვევაში დრძილების მგრძობელობა განსხვავებულია [164].

კომპოზიტების მექანიკური და ესთეტიკური მახასიათებლები ძირითადად დამოკიდებულია შემავსებლის ზომაზე. დღევანდელ სტომატოლოგიაში ყველაზე იშვიათად გამოიყენება მაკროშემავსებლები 30 მკმ-მდე ნაწილაკების ზომით [217]. ასეთი კომპოზიტები ცუდად პოლირდება, სწრაფად კარგავს ფერს და ელვარებას. ამის გამო ისინი ესთეტიკურ სტომატოლოგიაში პრაქტიკულად არ გამოიყენებიან, მიუხედავად იმისა, რომ გააჩნიათ გამძლეობის საკმარისი მახასიათებლები.

კომპოზიტები მინიშემავსებლებით, ნაწილაკების ზომით 0,04 მკმ-მდე გამოირჩევიან მაქსიმალური ფერმედგობით, კარგად პრიალდებიან და ესთეტიკური თვისებებით მაქსიმალურად უახლოვდებიან კბილის მინანქარს, თუმცა ნაკლებად გამძლენი არიან. კომპოზიტები მინიშემავსებლებით, ნაწილაკების ზომით 1,5მკმ-მდე გამოირჩევიან მაღალი გამძლეობით [60].

დღეისათვის ვინირებისათვის გამოიყენება ჰიბრიდული კომპოზიტები, ნაწილაკების ზომით 1-2მკმ; ისინი გამოირჩევიან შემავსებლების ნაირსახეობითა და მაღალი კონცენტრაციით, კარგი ფიზიკური მანვენებლებით. გააჩნიათ საკმარისი გამძლეობა და მაღალი ესთეტიკური ხარისხი [216].

ფართო გამოყენება ჰპოვა აგრეთვე მიკროჰიბრიდებმა, მათ გააჩნიათ მაღალი გამძლეობა სპეციალური მინის მიკრონაწილაკების გამოყენების გამო. ისინი რეკომენდებულია კბილის საჭრელი და სადექი ზედაპირების აღსადგენად. ეს მასალა კარგად პრიალდება და გააჩნია მაღალი ესთეტიკური ხარისხი, მაგრამ დროთა განმავლობაში მან შეიძლება დაკარგოს სიპრიალე, რაც კარგად ჩანს კბილის მინანქართან საზღვარზე [32].

პირდაპირი ვინირის ფორმირების ტექნიკა რთულია – კბილის მომზადებისთანავე ხდება კომპოზიტის დაფენა. ფოტოპოლიმერების გამოყენებისას კომპოზიციური მასალების დაფენა ხდება შრეობრივად, რაც ექიმს აძლევს

ფერების კომბინირების და მაქსიმალური ესთეტიკური ეფექტის მიღების საშუალებას. უფრო ღრმა ფენებს გააჩნიათ უფრო მქრქალი შეფერილობა, ხოლო ზედაპირთან და მჭრელ კიდესთან ახლოს ისინი უფრო გამჭვირვალენი ხდებიან. ძირითადად გამოიყენება კომპოზიციური მასალების 7 სხვადასხვა შრე, რითაც მიიღწევა კბილის მაქსიმალურად ბუნებრივი გარეგნული სახე და საკმარისი ფიზიკური მახასითებლები [83].

ლიტერატურის მიხედვით პირდაპირი კომპოზიციური ბუნებები (direct composite bonding) უფრო მეტად იცვლიან ფერს, ვიდრე არაპირდაპირი ფაიფურის ვინირები [91, 138]. კომპოზიციური მასალები ისე არ პრიალდება, როგორც ფაიფური, ამიტომ მათზე რჩება საკვების ნაწილაკები და ლაქები. ტექნიკურად უფრო რთული შესასრულებელია და მოითხოვს დიდ დროს [42]. 5 წლის შემდეგ პირდაპირი კომპოზიციური მასალები ამჟღავნებენ ცვეთას და ზედაპირის მცირე ხორკლიანობას [20].

კომპოზიციური ბუნებების გამძლეობა დროთა განმავლობაში მცირდება. ამ პროცესს განაპირობებს 2 ძირითადი მექანიზმი – მდგრადობა და ჰიდროლიზი [169]. პირველს განსაზღვრავს თერმული გაფართოვება და შეკუმშვა, კომპოზიტების პოლიმერიზაცია და ძლიერი დატვირთვა. კომპოზიციური კავშირების შესუსტება დაკავშირებულია ჰიდროლიზთან და ადჰეზურ მასალებთან [184, 186].

ფრონტალური კბილების რესტავრაციისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას რამდენიმე პარამეტრი, ყოველმა რესტავრაციამ უნდა ადადგინოს ბუნებრივი კბილის ფორმა და ფერი [85].

ვინირი გამოიყენება კბილის ფორმის და ფერის შესაცვლელად შემდეგ შემთხვევებში:

*1. კბილის ფერის შეცვლის დროს [83, 101];*

- კბილის ფერის მედიკამენტოზური შეცვლა (ტეტრაციკლინის, მონოციკლინის, გოგირდოვანი კბილები) [42,31];
- კბილის პულპის მთლიანი მოცილება ტექნოლოგიის დარღვევით, რის შედეგადაც კბილმა შეიძლება მიიღოს ვარდისფერი – ფორმალინის პასტით არხების დაბუნის შემდეგ, ხოლო ყვითელი – იოდფორმის შემცველი პასტით დაბუნის შემდეგ;
- ფერის შეცვლა კბილის ტრავმის შემდეგ;
- კბილის თანდაყოლილი მანკი (ჰიპოპლაზია);

- დაუმთავრებელი ამელოგენეზი ოთხივე ფორმის შემთხვევაში [26,69]. პირველი ფორმის დროს მინანქარი შენარჩუნებულია, ის ღებულობს ყვითელ ან ყავისფერ ფერს, რის გამოც იგი ერევათ ტეტრაციკლინის კბილებთან [172,125];
- ფლუოროზი [139];
- ძველი ბუნების არადამაკმაყოფილებელი ესთეტიკური გარეგნული სახე;
- მინანქარის დემინერალიზაცია.

*2. დესტრუქციული პროცესების შედეგად განვითარებული ცვლილებები [113]:*

- III, IV, V კლასის კარიესი;
- მინანქარის საშუალო და მძიმე ხარისხის ეროზია, როდესაც ეროზია იკავებს კბილის ნახევარ ვესტიბულარულ ზედაპირს;
- მინანქარის ნეკროზი [10];
- სოლისებური დეფექტები, მაგარი ქსოვილების პათოლოგიური ცვეთა;
- კბილის ტრაჰმა;
- მინანქარის მრავლობითი პიგმენტირებული ბზარები;
- ღრძილების რეცესია [24].

*3. კბილის ფორმის, მდებარეობის შეცვლის დროს:*

- კბილის ფორმის ანომალია;
- კბილის მობრუნება ღერძის გარშემო;
- დიასტემის და ტრემის კორექცია [4];
- კბილის მოძრაობა პაროდონტის დაავადების ან ტრაჰმის შედეგად;
- კბილის მდებარეობა რკალის გარეთ.

ლიტერატურაში გვხვდება ვინირების გამოყენების მონაცემები მაკროდონტიის დროს [177]. ფაიფურის ვინირები კბილის ფერის ძლიერი შეცვლისას წარმოადგენენ ადექვატურ მკურნალობას [55], ხოლო დიასტემის მკურნალობა ვინირებით განიხილება, როგორც ესთეტიკური და არა ფუნქციური [186]. ვინირება ეფექტურია ორთოდონტული მკურნალობის შემდეგ წარმოშობილი რეზორბციის შემდეგაც [147, 88]. ვინირების წარმატება დამოკიდებულია ინიციალურ ფაქტორებზე [147].

*ვინირების გამოყენების წინააღმდეგჩვენებებია:*

- არაჯანსაღი კბილები;
- სუსტი კბილები;
- ბრუქსიზმი;

- პირდაპირი თანკბილვა;
- პაროდონტის დაავადებები.

რესტავრაციის ხარისხის შეფასება მოიცავს: ანატომიური ფორმის ადაპტაციის, კიდების შეფერილობის, ფერთა შეხამების, ზედაპირის უსწორმასწორობის შესწავლას [216].

ცხრილი 1

**ხარისხის შეფასების ესთეტიკური ინდექსი**

	მაჩვენებლები	შეფასება ქულებით
კბილის გეომეტრიული ფიგურა	მართკუთხა	
	სამკუთხა	
	ოვალური	
	კვადრატული	
კბილის ზომა სიმაღლე, მმ განივი ზომა, მმ	ყელის მიდამო	
	ეკვატორის მიდამო	
	მჭრელი კიდის მიდამო	
გვირგვინის კუთხის ნიშნები	გამოხატული	
	არ არის გამოხატული	
გვირგვინის სიმრუდის ნიშნები	ყველაზე ამაღლებული წერტილი წანაცვლებულია მედიალურად	
	ყველაზე ამაღლებული წერტილი წანაცვლებულია შუა ხაზთან	
	ყველაზე ამაღლებული წერტილი წანაცვლებულია დისტალურად	
	არ არსებობს	
ფესვის გადახრის ნიშნები	გამოხატული	
	არ არის გამოხატული	
ღრძილის კონტური	გასქელებულია	
	მომრგვალებულია	
მჭრელი მხარე	სწორი	
	ამოზნექილი	
	მოხრილი	
	დაკბილული	

ცხრილი 1 (გაგრძელება)

ვესტიულარული ზედაპირის რელიეფურობა	გამოხატულია	
	არ არის გამოხატული	
კბილის გამჭვირვალობის ტიპი	მინანქარი გამჭვირვალეა კბილის გვირგვინის ყველა მონაკვეთზე	
	გამოხატული გამჭვირვალობა კბილის პროქსიმალურ ზედაპირზე	
	გამჭვირვალეა მჭრელი მხარე	
	გამჭვირვალეა მჭრელი მხარე და პროქსიმალური ზედაპირი	
კბილის ფერის შეფასება VITA სისტემით	ყელის მიდამოში	
	ეკვატორის მიდამოში	
	მჭრელი ბოლოსკენ	
	პროქსიმალურ ზედაპირზე	
მინანქარის სიგლუვის ხარისხი	თანაბრად მქრქალი	
	მქრქალი ყელის მიდამო	
	მბრწყინავი	
კბილის ინდივიდუალური თავისებურებების არსებობა	ლაქა ჰიპოპლაზიისას, ფლუოროზი	

თითოეულ პარამეტერს ეძლევა შესაბამისი ქულა: 3 ქულა – შედეგი სრულად შეესაბამება დაგეგმილს; 2 ქულა – შედეგი ნაწილობრივ შეესაბამება დაგეგმილს; 1 ქულა – შედეგი არ შეესაბამება დაგეგმილს. შემდეგ ყველა ქულა იკრიბება. ხარისხის შეფასება: 33-36 ქულა – საუკეთესო; 29-32 ქულა – კარგი; 24-28 ქულა – დამაკმაყოფილებელი; <24 ქულა – არადამაკმაყოფილებელი შედეგი.

შენიშვნა: თუ პუნქტს 9, 10, 12-ის შესაბამისი ქულა <3-ზე, რესტავრაცია არ შეიძლება შეფასებულ იქნას, როგორც საუკეთესო და კარგი შედეგი.

36 არის მაქსიმალური ქულა.

*შედეგების ინტერპრეტირება:*

0,9-1 – საუკეთესო შედეგი;

0,7-0,8 – კარგი შედეგი, საჭიროა რესტავრაციის უმნიშვნელო კორექცია;

<0,7 – არადამაკმაყოფილებელი შედეგი, საჭიროა კონსტრუქციის შეცვლა.

ვინირების წარმატება დამოკიდებულია დიაგნოსტიკურ მიდგომებზე, კონტინგენტის სწორ შერჩევაზე, ისევე როგორც კბილის შესაბამის მომზადებასა და ადჰეზიური მიმაგრების პროცედურებზე [37, 116, 173].

მყარ ადჰეზიას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი: წყლის სორბცია და ადჰეზიური მასალის ჰიდროლიზი; არასაკმარისი მონომერ/პოლიმერული გარდაქმნა, მასალის არასრული შეღწევა დემინერალიზებულ დენტინში, გამსხნელების არასრული აორთქლება, ნერწყვის ფერმენტული ზემოქმედება [168, 169, 129].

დღეისათვის არსებული მუდმივად განახლებადი ადჰეზიური სისტემები ხელს უწყობს ვინირების წარმატების დანერგვას [44]. ვინირების შემდგომი ღრძილების რეაქცია დამოკიდებულია როგორც ადჰეზიურ მასალაზე, ისე კბილებს საწყის მახასიათებლებზე [128].

ვინირების არაკეთილსაიმედო შედეგის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ადჰეზიური მასალების შესაბამისი შერჩევა [39]. კბილის დუღაბის ადჰეზიური მასალების რბილ ქსოვილებზე მავნე ეფექტის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ღრძილის მომზადება ვინირებისათვის [140]. ღრძილების მკურნალობის შემდეგ ვინირების გამოსავალი კეთილსაიმედოა [28].

კომპოზიციური მასალა შედგება 2 ან მეტი კომპონენტისგან (ფაზისგან ) და განსხვავებულ თვისებათა კომპლექსისგან, ამასთან თითოეული კომპონენტი ინარჩუნებს ინდივიდუალურ მახასიათებელს. კომპოზიტების მექანიკური და ესთეტიკური მახასიათებლები ძირითადად დამოკიდებულია კომპონენტებზე. ამდენად კომპოზიციური კბილების გამძლეობის დროზე დამოკიდებულება წარმოადგენს რთულ ფუნქციას და დამოკიდებულია შემავსებლების ცალკეულ ფაზაზე [114, 154, 130].

ვინირების ფუნქციური და ესთეტიკური პოტენციალი მოიცავს კბილის კონსერვატიულ მომზადებას. ვინირის პროქსიმალური გაფართოების უპირატესობა წინა კბილებისათვის მნიშვნელოვნად აღემატება კბილის ზედმეტი დამუშავებით გამოწვეულ ნაკლს [135].

ვინირება ხშირად წარმოადგენს ლაქებიანი კბილების იდეალურ აღდგენას, როდესაც კბილის მინანქარი ზიანდება ან აღარ ახდენს სასურველ ესთეტიკურ ეფექტს. ტრადიციულ გვირგვინთან შედარებით კბილის დამუშავება უფრო დამზოგველია, ვინირი უფრო მეტად უზრუნველყოფს ღრძილების ჯანმრთელობას და ბევრად უფრო ესთეტიკურია [48].

ფაიფურის ვინირების დამაგრების მეთოდთა მოიცავს ფაიფურის თხელ გარსს, რომელიც მაგრდება მინიმალურად მომზადებულ კბილის ზედაპირზე (მინანქარზე და/ან დენტინზე) შემავსებლით და ადჰეზიური სისტემების გამოყენებით [94].

შესწავლილ იქნა 546 ტეტრაციკლინის კბილის მინანქარის ვინირების შედეგები 0.5, 1.5 და 2.5 წლის შემდეგ. შესწავლილ იქნა კიდეების ადაპტაცია, მეორადი კარიესი და ფერთა შეხამება. 99%-ში აღინიშნა კიდეების კარგი ადაპტაცია, ფერთა შეხამება იყო მდგრადი, კარიესი არ დაფიქსირდა [38, 33].

40 პაციენტის შესწავლამ აჩვენა, რომ ფლუოროზის დროს და ნორმალური მინანქარის კბილებზე ფაიფურის ვინირების დამაგრების ხარისხს შორის სარწმუნო განსხვავება არ აღინიშნებოდა [139].

რეტროსპექტულად შესწავლილ იქნა ფაიფურის ვინირების კლინიკური ეფექტურობა 12 წლის შემდეგ. ფერთა შეხამება, კიდეების მთლიანობა, ფაიფურის ზედაპირის სიპრიალე, კიდეების ფერადობა, შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა CDA/RYGE კრიტერიუმი. ამ კრიტერიუმით ეს მაჩვენებლები შეესაბამება A მაჩვენებელს. გატეხვის რისკი შეფასებულ იქნა Kaplan-Meier-ს ანალიზით, ეს რისკი შეადგენდა 94%-ს [54].

ვინირებიდან 9 წლის შემდეგ შესწავლილ იქნა 260 პაციენტი, 617 CAD/CAM ფაიფურის ვინირი Cerec სისტემით. დამზადებული ვინირის სრულფასოვნება Kaplan-Meier-ს მიხედვით შეადგენდა 94% (CI: 95% 90.7-97.8) 98%-ში დაფიქსირდა კლინიკურად დადებითი შედეგი, რაც მიუთითებს ამ ტიპის ვინირის უპირატესობაზე [52, 156, 171].

კომპოზიტური მასალებით საღებავი კბილების რესტავრაციისას კლინიციისტი აწყდება წინააღმდეგობებს, რომლებიც დაკავშირებულია, კომპოზიტური მასალისა და კბილის ქსოვილის კონტაქტთან და ადაპტაციასთან, აგრეთვე ტექნიკურ სიძნელეებს, რომელიც დაკავშირებული სწორი ანატომიურ მასხასიათებლების შექმნასთან, პოლიმერიზაციის ტექნიკასთან, მინანქარზე ბზარების გაჩენასთან და კიდოვან დეფექტებთან, რაც გამოწვეულია პოლიმერიზაციის დროს კომპოზიტების შეკუმშვით [83].

ვინირების მნიშვნელოვანი ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ ვინირსა და კბილს შორის შეიძლება წარმოიქმნას მიკრონაპრალები, რომლებიც ხელს უწყობენ მიკრობების დაგროვებას. გარდა ამისა შესაძლებელია ფაიფურის ბზარების წარმოქმნა, აგრეთვე კბილიდან აცლა. არ არის გამორიცხული

ღრძილის ტრავმირება კბილის ყელის მიდამოში კერამიკული ვინირის კიდეების მიერ. ფაიფურის ვინირები განკუთვნილია კბილის გარეგნული სახის გასაუმჯობესებლად, მათ არ შეუძლიათ ძლიერი დატვირთვის ატანა [160], თუმცა ტექნოლოგიის სათანადოდ დაცვის შემთხვევაში ფაიფურის ადჰეზიური ვინირები კბილთან ქმნის მყარ კომპლექსს ვიტრო და ვივო, არ ახდენს უარყოფით ზემოქმედებას ღრძილებზე ოპტიმალური ჰიგიენის დაცვის დროს, მთავარი ნაკლოვანებებია შედარებით დიდი კიდოვანი შეუსაბამობა და არასაკმარისი ცვეთა მედეგობა, თუმცა ეს ნაკლოვანებები არ მოქმედებენ საშუალო პერიოდის განმავლობაში, რაც შეეხება შორეულ შედეგებს, ისინი ჯერ კიდევ შესასწავლია [132].

კბილის ზომის შემცირება ვინირების დროს განპირობებულია პაროდონტის ბიოლოგიური შეზღუდვებით და ესთეტიკური მოთხოვნებით [62]. კბილების გათანაბრებამ შეიძლება მოითხოვოს კბილის სტრუქტურების ზედმეტი მოცილება.

კბილის დამუშავების ხარისხი დამოკიდებულია ვინირის ტიპზე [86, 58]. დაპრესილი კერამიკის ვინირები მოიხოვენ კბილის მეტად დამუშავებას (0,5-1,0 მმ), ხოლო Stackable ფაიფურის ვინირები – 0,3 მმ-ს. ვინირება უფრო გამძლეა, როდესაც ხდება კბილის კუთხეების დამრგვალება და არა ჩამოჭრა, ხოლო ვინირს გააჩნია ერთნაირი სისქე – 0,5 მმ [104, 61].

კბილის მინანქარი კბილს იცავს მექანიკური, ქიმიური და თერმული დაზიანებისაგან, ვინირის ფიქსაცია მოითხოვს კბილის დამუშავებას, მინანქრის ფენის აცლას კბილის სისქის შესამცირებლად და ზედაპირულ საფართან შეჭიდულობის გასაძლიერებლად [21]. ვინირის დაყენება არ არის სასურველი ისეთ კბილებზე, რომელთაც გააჩნიათ კბილის მინანქარის მნიშვნელოვანი დაზიანება, კბილის ქსოვილის მნიშვნელოვანი დარღვევა და დიდი ზომის ბუნე.

თუმცა ზოგიერთი ავტორის მონაცემებით ვინირება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ძლიერ დაზიანებული კბილისთვისაც, ამ დროს ფაიფურის ვინირი უნდა დამაგრდეს პირდაპირ დენტინზე [134].

ვინირებიდან 16 წლის შემდეგ შესწავლილ იქნა 15-73 წწ. ასაკის 100 ავადმყოფი 304 ვინირით. ფაიფურის გატეხვის რისკი შემცირებულია:  $96\% \pm 1\%$  – 5-6 წწ.;  $93\% \pm 2\%$  – 10-11 წწ.;  $91\% \pm 3\%$  – 12-13 წწ.; და  $73\% \pm 16\%$  – 15-16 წწ., ესთეტიკურად სასიამოვნოა, მარგინალური მთლიანობა შენარჩუნებულია, პირის ღრუ ჯანმრთელია, პაციენტის კმაყოფილება მიღწეულია 31%-ში, მექანიკური გართულება 31%-ში, გართულება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მხრივ 12.5%-



ში, კარიესი 6%-ში. კბილის მოტეხვა 6%-ში. ვინირის ხანგრძლივობა სასურველია არ აღემატებოდეს 10 წელს [97].

მნიშვნელოვანია ვინირის დამაგრების ტექნიკა. არასწორი დამაგრების შემთხვევაში ვინირსა და კბილს შორის გვერდებზე შეიცლება დარჩეს მიკრონაპრალი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაპრალის ზომა მცირეა, იგი მიკრობებისთვის სასურველი გარემოა.

ამასთან ერთად შეიძლება მოხდეს ფაიფურის ფირფიტის სრიალი და კბილიდან დაშორება. ამ შემთხვევაში საჭიროა ახალი ვინირის დამზადება.

შესაძლებელია, აგრეთვე ვინირმა გამოიწვიოს კბილის ყელთან ღრძილის ტრავმირება.

*ვინირების უარყოფითი მხარეები [153,159]:*

- ვინირების დამაგრების ტექნიკასთან დაკავშირებული ცვლილებები;
- მაღალი ფასი;
- ვინირი არ ექვემდებარება შეკეთებას;
- შეიძლება გამოიწვიოს მგრძობელობის მომატება ცხელი და ცივი საკვების მიმართ;
- ვინირის ფერი შეიძლება არ იყოს ჰარმონიაში სხვა კბილის ფერთან, კბილის გათეთრება შეიძლება ვინირის დამაგრებამდე;
- შეიძლება ვინირი მოცილდეს კბილს, ამიტომ საჭიროა კბილზე მექანიკური დატვირთვის შემცირება;
- ვინირებამ შეიძლება გამოიწვიოს მეორადი კარიესი.

ვინირის დაზიანება იყოფა სამ კატეგორიად – მოტეხვა, მიკროგაჟონვა და აცლა [3, 152, 79]. [55]-ის მიხედვით აცლა შეადგენს დაზიანების 67%-ს, მიკროგაჟონვა 22%-ს, ხოლო მოტეხვა – 11%-ს [58]. არაკეთილსაიმედო შედეგის ძირითად მიზეზს წარმოადგენს დენტინის დიდი ზომის დეფექტი კბილის მომზადების პროცესში [176]. კბილის მომზადების შემდეგ დატოვებული კბილის მინანქარის რაოდენობა, კლინიციისტიის ჩვევები, კბილის და ცემენტის შეჭიდულობის ხარისხი [58].

დამაგრების ეფექტურობა და მიკროგაჟონვა დამოკიდებულია ადჰეზურ აგენტებზე [77, 66].

ყველა წინა კბილის მინანქარის ზომა, გარდა ზემო-გვერდითი მჭრელი კბილისა 0,5 მმ-ზე მცირეა ყელის არეში. ყველა წინა კბილის მედიალური და დისტალური ზედაპირების მინანქარი 5 მმ-ზე მეტია. 8 მმ-ის დინეზე მჭრელების

ფრონტალურ ზედაპირებს გააჩნიათ 1 მმ-ზე ოდნავ მეტი მინანქარი, ხოლო ეშვებს – 1,3 მმ მინანქარი, პაციენტის ასაკთან ერთად კბილის მინანქარის სისქე მცირდება [11].

აღდგენა უნდა აკმაყოფილებდეს პაციენტის მოთხოვნებს და ინარჩუნებდეს კბილის მინანქარის მაქსიმალურ რაოდენობას. სტანდარული ვინირების დროს კბილის ზედაპირის შემცირება თანაბარი უნდა იყოს და უნდა შეადგენდეს არა უმცირეს 0,5 მმ [58, 176]. კბილის მომზადება უნდა გაგრძელდეს ინტერპროქსიმალურად კბილის გვირგვინის საწყისი ფორმის პარალელურად, ზოგჯერ ხდება მინანქარის მოცილება დენტინის დონემდე, კბილის ყელის და პროქსიმალურ ნაწილებში [121, 19, 35]. ამ ნაწილებში მინანქარი თხელია [122, 36]. დენტინამდე მინანქარის მოცილება ძირითადად ხდება ყელის მიდამოში (95%) [188]. ოკლუზური ზედაპირის არაადექვატური მოდელირება და არაფუნქციური ოკლუზიის ფორმირება იწვევს საყრდენი კბილების გადატვირთვას, კიდოვანი მიმაგრების დარღვევას და ზოგჯერ ორთოპედიული კონსტრუქციის დაზიანებას, შედეგად საყრდენი კბილების კარიესის განვითარებას [145].

კბილის გვირგვინის დახრის კუთხე პირდაპირაა დამოკიდებული მინანქარის დამუშავების ხარისხზე. როდესაც ვინირება აღადგენს მინანქარის საწყის სისქეს, მაშინ ნატურალურ და ვინირებულ კბილებს შორის ფიზიომექანიკურ თავისებურებების მიხედვით განსხვავება არ აღინიშნება (დრეკადობა, მოტეხვის ძალა, სიმკვრივე და თერმული გაფართოება) [105, 166], როდესაც ცემენტი დაკავშირებულია კბილის მინანქართან და არა დენტინთან, ფუნქციური დატვირთვა მცირეა [105]. კავშირი ოპტიმალურია, როდესაც ცემენტის სისქე მინიმალური და თანაბარია [94, 77, 29, 19, 72]. კბილის ცემენტის სისქის გაზრდა იწვევს დაძაბულობის მომატებას [99].

აგრესიული ვინირების დროს მინანქარის დიდი რაოდენობის აცლისას ვინირი მაგრდება ძირითადად დენტინზე, რაც ასუსტებს ვინირებულ კბილს [52]. ამიტომ დამუშავებისას რეკომენდებულია მეტი მინანქარის დატოვება [103].

გარდა ამისა, დენტინის დამუშავების შემდეგ აუცილებელია დენტინის ზედაპირის დაუყოვნებელი დაგრუნტვა [120]. რეკომენდებულია ჰერმეტიზაცია immediate dentin sealing (IDS)-ით (დენტინის პოლიმერიზაციის აგენტი), რაც უზრუნველყოფს კბილის დაცვას და ვინირების გამოყენების გახანგრძლივობას [106].

დენტინის დამუშავების შემდეგ კბილის მგრძობელობა იზრდება, Tubulitec-ის აპლიკაციის შემდგომ მგრძობელობის გაზრდა არ აღინიშნება. დაუცველ

კბილზე ასევე აღინიშნება ბაქტერიული კონტამინაცია, მაშინ როდესაც აპლიკაცია იცავს კბილს ბაქტერიების შეღწევისაგან [22]. დენტინის მგრძობელობა მომატებულია ძირითადად საშუალო ასაკის პირებში [223].

დისკუსიის საგანს წარმოადგენს ვინირების გამოყენება თანკბილვის გასწორებისას [120], ტრადიციულად ვინირები გამოიყენებოდა კბილის არასწორი ან სპეციფიური კონტურის, კბილებს შორის ინტერვალის, ღრძილის რეცესიის, არასწორი, გაცვეთილი ან ფერშეცვლილი კბილებისათვის [40, 6, 42, 26]. ზოგიერთი ავტორის აზრით, ფორმის მცირე შესწორება შესაძლებელია მაშინ, როდესაც არსებობს ვინირების ჩვენება [46], თუმცა დღეისათვის ვინირების საშუალებით ფორმის შეცვლას ამართლებენ ჯანმრთელი კბილების შემთხვევაშიც [101], რასაც უწოდებენ მომენტალურ ორთოდონტიას “instant orthodontics” ან ორდანიშნულებიან ორთოდონტიას two-appointment orthodontics [76, 165].

ლიტერატურაში ნახვენებია, რომ სრული ვინირება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას თანკბილვის დარღვევის გამოსასწორებლად [45], თუმცა ორთოდონტიული მკურნალობის ნაცვლად ვინირების გამოყენება დაკავშირებულია ეთიკურ დილემასთან [81].

ეს არატრადიციული და აგრესიული მიდგომები უარყოფილია ზოგიერთი კლინიცისტის მიერ. პროფესიული ჟურნალები გამოხატავენ შეშფოთებას ვინირების არასწორი გამოყენების გამო [176, 166, 6, 57].

ზოგიერთ შემთხვევაში ვინირი შეიძლება გახდეს პირის ღრუში პათოლოგიური პროცესის მაპროვოცირებელი ფაქტორი, განსაკუთრებით პირის ღრუს ლორწოვანი გარსის არასათანადო მდგომარეობის დროს [37, 137, 51, 106].

გამოკვლევების მიხედვით მოსახლეობის მხოლოდ 12%-ს აქვს ჯანმრთელი პაროდონტი, 53%-ს აღინიშნება საწყისი ანთებადი ცვლილებები, 23%-ს საწყისი დესტრუქციული ცვლილებები და 12%-ს აღინიშნება საშუალო და მძიმე ხარისხის დაზიანება [197, 109].

რიგი გამოკვლევებისა გვიჩვენებს, რომ პაროდონტიტის გავრცელება უფრო მაღალია მამაკაცებში. ითვლება, რომ მამაკაცებისათვის პაროდონტიტის დესტრუქციული ფაზა იწყება დაახლოებით 35 წლისათვის, მაშინ, როცა ქალებისათვის დესტრუქციული პროცესი იწყება უფრო გვიან, 45 წლისათვის [212].

პირის ღრუს დაავადებები განპირობებულია ადგილობრივი მიკროფლორის დისბალანსით, რაც იწვევს პათოგენური მიკროფლორის გავრცელებას. პირის ღრუს ეკოსისტემის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს როგორც ენდოგენურმა,

ისე გარემო ფაქტორებმა [16]. ორგანიზმის დაცვით რეაქციებს თრგუნავს და პათოგენური მიკროფლორის ინვაზიას ღრძილის ქსოვილების სიღრმეში ხელს უწყობს მოწვევა. მოწვევის გაფლენის მექანიზმი მრავალგვარია და ბოლომდე შესწავლილი არ არის. მოწვევის ძირითადი ეფექტია ბაქტერიული აგრესიის აქტივიზაცია [71]. დადგენილია მჭიდრო კავშირი მოწვევასა და წყლულოვან ნეკროზული პაროდონტიტის განვითარებას შორის. მწვევლებში წყლულოვან ნეკროზული დაზიანება სხვადასხვა გამოკვლევის მიხედვით შეინიშნება 8-14 – ჯერ ხშირად, ვიდრე არამწვევლებში [162, 214, 150].

დადგენილია, რომ უკვე ქრონიკული გინგივიტის კლინიკური სურათის დროს პაროდონტში აღინიშნება აქტიური ანთებადი პროცესის გავრცელების მორფოლოგიური ნიშნები, ღრძილის საზღვრებს მიღმა ალვეოლური მორჩის ძელოვანი ქსოვილის სიღრმეში, რასაც თან ახლავს დესტრუქციული ცვლილებების მთელი კომპლექსი: ძელოვანი ნივთიერების რეზორბცია, და პერიოდონტის კოლაგენური ბოჭკოების ლიზისი [222, 70].

გამწვავებული ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტის დროს, მკურნალობამდე ბიოფსიურ მასალაში აღინიშნება ღრძილის შეშუპება, ეპითელური საფარის მკვეთრი გასქელება, მწვავე დისცირკულაციური პროცესები (სისხლსავეობა, სტაზე, სისხლჩაქცევა) და აგრეთვე ანთების გამოსატული ექსუდაციური კომპონენტი [70, 217].

პაროდონტის დაზიანების პირველად ფაქტორად დღესდღეობით განიხილება კბილის ნადების ბაქტერიული ფლორა. საუკუნეზე მეტია გრძელდება გამოკვლევები ბაქტერიული კოლონიზაციის როლის შესახებ პაროდონტის დაავადებების განვითარებაში, და ამ პერიოდის განმავლობაში მეცნიერთა მონაცემები ამ საკითხის მიმართ არაერთხელ შეიცვალა [221]. კბილის ნადებში ლოკალიზდება პირის ღრუს მიკროორგანიზმების ძირითადი მასა, კბილის ნადების მოცულობის 70%-ს შეადგენენ მიკრობები. ნადების მშრალი მასის 1 მგ შეიცავს მიახლოებით 250 მიკრობს [191].

პირის ღრუს მიკრობული ფლორა დაკავშირებულია ჰიგიენურ სტატუსთან, იგი მონაწილეობს იმუნური სისტემის განვითარებაში და უზრუნველყოფს პათოგენური მიკრობების კოლონიზაციისადმი მედეგობას [100, 65, 48, 226].

კბილების გახეხვიდან 2 საათის შემდეგ დაგროვებას იწყებს კბილის ნადები, ამ უკანასკნელის წარმოქმნის დინამიკის შესწავლით დადგინდა, რომ დღე-ღამის განმავლობაში კბილის ზედაპირზე ჭარბობს კოკური ფლორა, 24 საათის შემდეგ

ჩხირისებური ბაქტერიები. 2 დღე-ღამის შემდეგ კი კბილის ზედაპირზე უკვე არსებობს მრავალრიცხოვანი ჩხირები და ძაფისებრი ბაქტერიები [74]. კბილის ნადების განვითარების შესაბამისად იცვლება მისი მიკრობული ფლორა. პირველად წარმოქმნილი ნადები შეიცავს აერობულ, ხოლო შემდგომ გვიანი ნადები კი აერობულ და ანაერობულ მიკროორგანიზმებს [196].

კბილის ნადების წარმოქმნის მექანიზმში მნიშვნელოვნად ჭარბობს შაქარი [145]. ამ პირობებში შესწავლილია სხვადასხვა შტამის მიკროორგანიზმების აქტივობა. მნიშვნელოვან როლს თამაშობს *S. mutans*, რადგანაც ზუსტად ეს მიკროორგანიზმები იწვევენ ნადების ფორმირებას ნებისმიერ ზედაპირზე. მაგრამ სტრეპტოკოკების აბსორბციას ხელს უწყობენ სხვა მიკროორგანიზმებიც *C. albicans*, *S. salivarius* და ა.შ. [198].

ორდღიანი კბილის ნადები თითქმის მთლიანადაა ჩამოყალიბებული მიკროორგანიზმებით. კბილის ნადებში ბაქტერიების კონცენტრაცია საკმაოდ მაღალი [49]. პირის ღრუს სხვადასხვა უბნიდან აღებულ მასალაში მიკროორგანიზმების რაოდენობა განსხვავებულია [198].

პაროდონტიტების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ნერწყვს. (მისი შამადგენლობა და თვისებები, ქიმიური შემადგენლობა, კალციფიკაცია) [209]. ნერწყვის რაოდენობის შემცირებისას იზრდება ნადების ჩამოყალიბება კბილებზე, რაც ხელს უწყობს პაროდონტის ანთებადი დაავადებების ჩამოყალიბებას [193]. კბილის მაგარი ნადების წარმოქმნა ხელს უწყობს პირის ღრუს სითხის ტუტე გარემოს მომატებას [207]. კბილის ბალთის მიკროორგანიზმები იკვებებიან ნერწყვის შარდოვანადან (მისი შეგუბების ადგილებზე), ხდება ამიაკის ფორმირება, რის შედეგადაც იმატებს ტუტე გარემო და კბილის ქვის კომპონენტები ილექება [209].

კბილის ნადებსა და ნერწყვში მიკროორგანიზმების რაოდენობა განსხვავებულია. ასე მაგალითად, კბილის ნადებში მცირე რაოდენობითაა *S. salivarius* (მიახლოებით 1%), იმ დროს როცა ნერწყვში ეს მიკროორგანიზმები დიდი რაოდენობითაა; კბილის ნადებში 100-ჯერ მეტია ლაქტობაცილები ვიდრე ნერწყვში [49]. დღესდღეობით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირის ღრუში ნახშირწყლების მეტაბოლურ გარდაქმნის შესწავლას, იმდენად რამდენადაც მისი შედეგია პირის ღრუს სითხის pH-ის მუავე მხარეს გადახრვა, რაც იწვევს კარიესის განვითარებას [199]. მთელი რიგი მექანიზმთა კომპლექსის დახმარებით, იქმნება რა იდეალური პირობები ნადების აკუმულაციისათვის და ღრძილის

დარის ნორმალური ეკოლოგიური ბალანსის დარღვევისათვის, პათოგენური მიკროფლორა, გამოდენის ნორმალურ გრამ-პოზიტიურ ფაკულტატურ ორგანიზმებს [219, 151, 108, 26, 98].

მიკრობულ კოლონიზაციაში 70%-ზე მეტი სტრეპტოკოკებია, 15%-ი ვეილონელები და ნეისერიები, ხოლო დანარჩენი ფლორა – დიფტერიოიდები, აქტინომიცეტები და საფუარა სოკოები. მოყვანილია ასეთი შეფარდება კბილის ნადების ბაქტერიებს შორის: ფაკულტატური სტრეპტოკოკები-27%, ფაკულტატური დიფტერიოიდები-23%, ანაერობული დიფტერიოიდები-18%, პეპტოსტრეპტოკოკები – 13%, ვეილონელები – 6%, ბაქტერიოიდები – 4%, ფუზობაქტერიები – 4%, ნეისერიები – 3%, ვიბრიონები – 2% [28].

კბილის ნადებში ასევე აღმოჩენილია ნოკარდიები და სოკოების ექვსი სახეობა. ყველაზე ხშირად გვხვდება *Candida albicans*. კბილის ნადების მიკრობული ფლორა არ არის მუდმივი როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. უპირატესად მიკროკოკებისაგან შედგება 1-2 დღიანი ნადები, იმდროს როცა 3-4 დღიანი ნიმუშში ჩნდება და მე-5 დღიდან მრავლდება სპირილები [198, 209].

ზოგიერთი მონაცემით, პირდაპირი ვინირება ნეგატიურად მოქმედებს პირის ღრუს სტომატოლოგიურ სტატუსზე. შეისწავლეს პირდაპირი კომპოზიციური მასალების მოქმედება მარგინალურ პაროდონტულ ქსოვილზე. ულტრათხელი კომპოზიციური მასალები უშუალოდ იყო მოთავსებული 79 ინტაქტურ ზემო-წინა კბილებზე. 5-6 წლის შემდეგ გამოიკვლიეს კბილის ნადების ინდექსი, რესტავრირებული კბილების უნილატერალურად. შედარება ჩატარდა ნამკურნალევი და ინტაქტურ უბნებს შორის. ნადების და გინგივიტის ინდექსები სარწმუნოდ მაღალი იყო დამუშავებული კბილებისათვის (შესაბამისად  $P=0.029$ ;  $P=0.059$ ) [132].

თუმცა მტკიცებითი მედიცინის მიხედვით ჩატარებულმა მეტა ანალიზებმა აჩვენა, რომ ფერშეცვლილი კბილების შემთხვევაში სარწმუნო განსხვავება პირდაპირ და არაპირდაპირ ვინირებს შორის არ არსებობს [181, 110].

ფაიფურის ვინირებზე ბაქტერიული ნადების დაგროვება გაცილებით მცირეა, ვიდრე ადჰეზიური მასალასა და კბილის სტრუქტურაზე [89].

ვინირების შემდგომი ბაქტერიული კონტამინაცია გამოწვეულია გარკვეული დროის შემდეგ ზედაპირის მექანიკური დაზიანებით და ცვეთით [91].

პაროდონტის დაავადების განვითარებას ჰომეოსტაზის რთული დაზიანების გზით, ხელს უწყობს სტრესი. სტრესი გვევლინება სხვადასხვა პირობებში (მათ შორის სომატური დაავადების დროსაც), პაროდონტის დაავადების გადრმავების

პროგნოზირებად [12, 57]. კბილთა რკალის დეფექტების დროს ირღვევა წონასწორობა ლეკვითი დატვირთვისას, რის გამოც იქმნება ტრავმული ოკლუზია, ღრმავდება პათოლოგიური პროცესები პაროდონტში, რაც ხელს უწყობს პაროდონტული ჯიბეების წარმოქმნას. თუმცა, ზოგიერთი ავტორი უარყოფს პირდაპირ კავშირს თანკბილვის პათოლოგიასა და პაროდონტის დაზიანებას შორის [28].

კბილების გადატვირთვა იწვევს კბილის ნადების გაძლიერებულ წარმოქმნას და ქსოვილებში ანთებად ცვლილებებს [210, 9, 215]. ასევე დამტკიცებულია, რომ ლეკვით დატვირთვაზე საპასუხოდ რეაგირებს სისხლძარღვოვანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ამ ქსოვილების ჟანგბადით და ნივთიერებათა ცვლისათვის საჭირო პროდუქტებით მომარაგებას [190, 68, 213]. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი პაროდონტის ანთებითი დაავადებების განვითარებაში არის მიკროცირკულაციის დარღვევა. სისხლძარღვოვან-ქსოვილოვანი გამტარებლობის მომატებას მივყავართ სისხლძარღვთა კედლებისა და პერივასკულარული ქსოვილების გაჯერება ცილებით.

დადგენილია, რომ პაროდონტიტის კლინიკური სურათის დროს პაროდონტში აღინიშნება აქტიური ანთებადი პროცესის გავრცელების მორფოლოგიური ნიშნები, ღრძილის საზღვრებს მიღმა ალვეოლური მორჩის ძვლოვანი ქსოვილის სიდრემში, რასაც თან ახლავს დესტრუქციული ცვლილებების მთელი კომპლექსი: ძვლოვანი ნივთიერების რეზორბცია, და პერიოდონტის კოლაგენური ბოჭკოების ლიზისი [218]. ვინირების შემდგომ ხდება ღრძილის მორფოლოგიის ცვლილება [13, 5, 182, 90, 96].

ურთიერთსაწინააღმდეგოა ლიტერატურის მონაცემები ვინირების შემდეგ მეორადი გინგივიტის განვითარების შესახებ. [141]-ის მონაცემებით გინგივიტის რაოდენობამ ვინირებიდან 2-3 წლის შემდეგ მოიმატა 60%-ით, ხოლო [137]-ის მიხედვით ვინირებიდან 3 წლის განმავლობაში გინგივიტის განვითარებას ადგილი არ ჰქონია.

პირის ღრუს სტატუსის შესწავლამ ვინირებიდან 14 თვის შემდეგ აჩვენა 91,2%-იანი დადებითი შედეგი, გინგივიტის და სისხლდენის ინდექსებს შორის ვინირებამდე და ვინირების შემდეგ სარწმუნო განსხვავება არ აღმოჩნდა, ნადების ინდექსი ვინირების შემდეგ სარწმუნოდ შემცირდა [82].

შესწავლილ იქნა მიკრობული ნადების და ღრძილების ანთებითი პასუხი ფაიფურის ლამინირებულ ვინირებაზე. ვინირებამდე და ვინირების შემდეგ პირის

დრუს სტატუსის შესწავლამ აჩვენა, რომ ღრძილოვანი ჯიბის სითხის რაოდენობამ მოიმატა, სტატისტიკურად სარწმუნოდ არ შეიცვალა ფერმენტების პროტეოლიზური აქტივობის მაჩვენებლები ( $P>0,05$ ), სარწმუნოდ შემცირდა ნადების ინდექსი ( $P=0,000$ ) და ნადების ბაქტერიების სიცოცხლისუნარიანობა ( $P=0,018$ ) [90].

შესწავლილ იქნა ლამინირებული ვინირების შემდგომი ღრძილების რეაქცია, მარგინალური ინდექსი, პაპილარული (ღვრილებიდან) ღარის სიღრმე, ღრძილის რეცესია [25, 50]. არაკეთილსაიმედო შედეგი დაფიქსირდა 4%-ში, როდესაც ვინირი ნაწილობრივ დამაგრებული იყო დენტინზე შეიდიდან 6 აცლა დაფიქსირდა, მარგინალური ინტეგრაცია დაფიქსირდა 99%-ში და 63%-ის შემთხვევაში შეფასებული იყო, როგორც ძალიან კარგი. ზედაპირული მარგინალური გაუფერულება დაფიქსირდა 17%-ის შემთხვევაში, რეცესია 31%-ში და სისხლდენა 25%-ში. სიცოცხლის ხანგრძლივობა კაპლან-მაიერ-ის მიხედვით 10 წლის განმავლობაში შეადგენდა 91%.

ბაქტერიული კოლონიზაციის მნიშვნელოვან ეტაპს განეკუთვნება მიკროორგანიზმების ადჰეზია კბილისა და ღრძილის ზედაპირზე. ბაქტერიული აგრესიის შემდეგი ეტაპია ქსოვილების სიღრმეში მიკროორგანიზმების ინვაზია [204, 102].

ბაქტერიული ინვაზიის მნიშვნელობა ქრონიკული გინგივიტის და პაროდონტიტის დროს ნაკლებად არის გამოხატული და ძირითადად ახასიათებს ბაქტერიების მულტიპლიკაცია ეპითელურ შრეებში [163]. ზოგიერთი ავტორი [138, 157] თვლის, რომ ბაქტერიები ქსოვილების სიღრმეში აღწევენ ქსოვილების მიკროტრავმისას პასიური დიფუზიის წყალობით, მაგალითად კბილების გახეხვის დროს. ადგეზირდება რა ბაზალური მემბრანის, კოლაგენური ბოჭკოების ზედაპირზე, ბაქტერიები იჭრებიან უფრო ღრმად ალვეოლურ ძვლამდე. ნავარაუდევია, რომ ბაქტერიულმა ინვაზიამ შეიძლება მოახდინოს ქრონიკულად მიმდინარე პაროდონტიტის გამწვავების პროვოცირება.

პათოლოგიური ცვლილებების პროგრესირებას მიუყვართ ანთების გავრცელებისკენ ალვეოლის ძვლოვან ქსოვილზე – გინგივიტი გადადის პაროდონტიტში.

რესტავრაციის დროს ანთებითი აქტივობის მძიმე ფორმებმა შეიძლება გამოიწვიოს პულპის ნეკროზი. ნაკლებად მძიმე შემთხვევაში პულპის ანთება დაკავშირებულია მგრძნობელობის გაზრდასთან სითბურ, მექანიკურ და ოსმოსურ გამღიზიანებელზე, რასაც შეუძლია ტკივილის გამოწვევა [93, 119].



დენტინისა და კომპოზიტების არასაკმარისმა შეჭიდულობამ შეიძლება გამოიწვიოს ბაქტერიების შეჭრა კბილისა და რესტავრაციის საზღვარზე. ბაქტერიული მიკროგაუნვის შემცირება ხელს შეუწყობს ანთებითი პროცესების შემცირებას და პულპის ქსოვილის სიცოცხლის გახანგრძლივებას. სარესტავრაციო მასალების შერჩევა მნიშვნელოვნად მოქმედებს ბაქტერიების გაუნვაზე. ბაქტერიების აღმოჩენა კომპოზიტური რესტავრაციების შიგნით აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია კომპოზიტების შეკუმშვის შემცირება პოლიმერიზაციის დროს [119].

ზოგიერთი ავტორის აზრით რესტავრაციის შემდეგ აღინიშნება ბაქტერიების საერთო რაოდენობის სარწმუნო მომატება ( $p < 0,05$ ), ამასთან სარწმუნოდ მცირდება გრამდადებითი და მატულობს გრამუარყოფითი ანაერობული მიკრობების სიხშირე ( $p < 0,05$ ) [153]. სხვა მონაცემების მიხედვით რესტავრაციის შემდეგ ადგილი ჰქონდა სტრეპტოკოკის სიხშირის შემცირებას, ხოლო ლაქტობაცილის სიხშირე არ შეიცვალა [142].

ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ვინირება იცავს კბილს კარიესისაგან კარიესი ერთერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. მონაცემებით ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის კარიესით ავადობა დაახლოებით 95-98%-ია და ამასთანავე მზარდი ტენდენცია ახასიათებს [126]. კბილის მაგარი ქსოვილების დარბილება, რომელსაც თან სდევს დეფექტი, ანუ კარიესული ღრუს ჩამოყალიბება.

კარიესი ინფექციურ პათოლოგიური პროცესია, რომელიც გამოვლინდება კბილების ამოჭრის შემდეგ, რომლის დროსაც ხდება დემინერალიზაცია და მაგარი ქსოვილების დარბილება, რასაც თან სდევს დეფექტის ანუ კარიესული ღრუს ჩამოყალიბება [228]. კარიესის ჩამოყალიბების ყველაზე გავრცელებულ მექანიზმს წარმოადგენს სტრეპტოკოკული ინფექცია, თუმცა გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ფიზიოლოგას, კვების ტიპს, pH-ს და კბილის მინანქრის ხარისხს [78, 15, 229].

მეორადი კარიესის ჩამოყალიბების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ბაქტერიული კოლონიზაცია [17].

ვინირებიდან 16 წლის შემდეგ შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ რეკურენტული კარიესი დაფიქსირდა შემთხვევათა 6%-ში [189].

საკვების, გაზიანი სასმელის, ბაქტერიული ნადების, ცხელი საკვების მოქმედება იწვევს კომპოზიტების ზედაპირის დეგრადაციას [129]. ვინირის

სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია როგორც გარემო ფაქტორებზე, ისე პირის ღრუს ინიციალურ მასხათებლებზე [32].

სარესტავრაციო მასალების ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს იმუნური სისტემის ანთებითი რეაქცია, რამაც შეიძლება დააზიანოს პულპის უჯრედების პოპულაცია და მოახდინოს წარმატებული რესტავრაციის გართულების პროვოცირება [1].

ამრიგად ვინირების შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და დღემდე სადავოა ესთეტიკური რესტავრაციის კრიტერიუმები [164, 104, 134], რაც განსაზღვრავს თემის აქტუალობას.

**თავი II.**

**მასალა და მეთოდები**

სამუშაოს საფუძვლად დაედო 18-დან 70 წლამდე ასაკის 330 პირის გამოკვლევა ქობილისის საერთო მოსახლეობიდან, მათგან 179 ქალი, 151 მამაკაცი, <20 წელზე ნაკლები იყო 28, 20-40 წლის ასაკის – 172, 41-60 – 108 და 60 წელზე უფროსი 22 პაციენტი.

კვლევა წარიმართა რამდენიმე მიმართულებით. კბილის ესთეტიკური დეფექტების გავრცელებისა და ვინირების საჭიროების დასადგენად ჩატარდა რეტროსპექტული კვლევა, კვლევის ტიპი – შემთხვევა-კონტროლი. ალტერნატიული ანალიზით შესწავლილ იქნა 330 პაციენტი, რომელთაგან 121-ს ესაჭიროებოდა ვინირი. დადგინდა ვინირების საჭიროების მაპროვოცირებელი ფაქტორები და ფარდობითი შანსი.

ვინირების გართულებების დასადგენად შეირჩა პაციენტთა ჯგუფი (64 პაციენტი ვინირით, რომელთაც ჰქონდათ 3 წელზე მეტი ხანგრძლივობის ვინირი), მათ შორის 40 ქალი და 24 მამაკაცი, რომელთა ასაკობრივი განაწილება ასეთია: 20 წლამდე 4 პაციენტი, 20-40 – 35 პაციენტი, 40-60 – 23 პაციენტი >60 2 პაციენტი.


დადგინდა კორელაციები ვინირების გართულებებსა და პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებს შორის.

ვინირებამდე და ვინირების შემდეგ პირის ღრუს სტატუსის დასადგენად ჩვენს მიერ პროსპექტულად შესწავლილ იქნა ვინირების საჭიროების მქონე 65 პაციენტი ვ. მარგველაშვილის სტომატოლოგიური კლინიკის კონტინგენტიდან., მათ ჩატარდათ ვინირება კომპოზიციური მასალით Estelite Sigma Quick (ტოკიო, იაპონია). მათ შორის 36 ქალი და 29 მამაკაცი, მათგან 20 წლამდე ასაკის – 6, 20-40 – 40, 40-60 – 18 და 60 წელზე მეტი ასაკის 1 პაციენტი. იმ პაციენტთა რაოდენობა, რომელთაც არ ჰქონდათ პირველადი ვინირი შეადგენდა 37, ხოლო ვისაც ჰქონდა პირველადი ვინირი – 28.


*ჩართვის კრიტერიუმები:* პაციენტების კვლევა, რომელთაც 2005-2009 წლებში მიმართეს ვ. მარგველაშვილის კლინიკას; პაციენტების ინფორმირებული თანხმობა კვლევაზე.

*გამორიცხვის კრიტერიუმები:* ყველა ის დაავადება, რომლის დროსაც ვლინდება პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილების მძიმე დაზიანებები (სისტემური დაავადებები, აუტოიმუნური დაავადებები, დიაბეტის მძიმე ფორმა და სხვა), პაროდონტიტის და პაროდონტოზის მძიმე ფორმა, ბრუქსიზმი, კბილის მაგარი ქსოვილების პათოლოგიური ცვლილება.


### 1 ეტაპი



### II ეტაპი



### III ეტაპი



რესტავრაცია წარმოებდა შემდეგი მეთოდიკით: კბილები გაწმენდა ხდებოდა წყლის ჭავლის ქვეშ, არაფტორირებული აბრაზიული პასტისა (Proxylt RDA 36, Ivoclar Vivadent, lixtenStaini) და დაბალი სიჩქარის ბუნიკზე დამაგრებული ჯაგრისის (Opti Shine, Kerr, შვეიცარია) საშუალებით. ყოველ კბილზე გამოიყენებოდა ახალი ჯაგრისი. გაუტკივარება ხდებოდა ინფილტრაციული ანესთეზიის მეთოდის გამოყენებით (Ultrakain D-C forte an Septanest SP 4%).

კბილის მაგარი ქსოვილების მექანიკური დამუშავება ხორციელდებოდა წყლის ჭავლის ქვეშ ტურბინულ ბუნიკზე (DURAtec 2068D, გერმანია) დამაგრებული მრგვალთავიანი და ფისურული აღმასის ბორებით (Diatec, გერმანია). პრეპარირება შეძლებისდაგვარად ტარდებოდა ღრძილის კიდის დონეზე. კბილების იზოლაცია ხდებოდა ცელულოიდის მატრიცებით რის შემდეგაც ხორციელდებოდა რესტავრაციის ეტაპები. კბილის ზედაპირი, მწარმოებლის მოთხოვნის შესაბამისად მისი მომზადების შემდეგ ივარებოდა ერთ-მომენტიანი ადჰეზიური მასალით Bond Force (Tokuyama Dental, იაპონია) (ცხრილი 2.1). ბონდის პროცედურები ხორციელდებოდა მწარმოებლის მიერ მოწოდებული მასალის გამოყენების ინსტრუქციის მიხედვით.

რესტავრაციისათვის იყენებდნენ სხივგამყარებად კომპოზიციურ მასალას Estelite Sigma Quick (Tokuyama Dental, იაპონია) (ცხრილი 2.1). სარესტავრაციო მასალის ფერის შერჩევა ხდებოდა Estelite Sigma Quick-ის (Tokuyama Dental, იაპონია) ფერთა შკალის გამოყენებით.

